დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 11 აგვისტოს №344 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 30 დეკემბრის №ძ 125 ბრძანებით, 2021 წლის 18 იანვრის №ძ 1 ბრძანებით. 20201 წლის 16 მარტის №ძ 27 ბრძანებით, 2021 წლის 17 მაისის №ძ 71 ბრძანებითა და 2025 წლის 13 მარტის №ძ 29 ბრძანებით

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ პასუხისმგებლობის გადანაწილებისა და დელეგირების წესი

2021 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები....3
მუხლი 2. რექტორი....3
მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით....3
მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით....4
მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით....4
მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი....4

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პასუხისმგებლობის განაწილებისა და დელეგირების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების, ანგარიშვალდებულებისა და დელეგირების პრინციპებს.

მუხლი 2. რექტორი

1. რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია:

ა) ვიცე - რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით;

ბ) ვიცე - რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით;

გ) ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;

დ) სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი;

ე) მედიცინის ფაკულტეტი.

ვ) სტრატეგიული განვითარების სამსახური;

ზ) ფინანსური სამსახური;

თ) ბიბლიოთეკა;

ი) ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური;

კ) საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მაკეტინგის სამსახური.

2. რექტორის უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები, თანამდებობის პირები საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე;

3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, საზოგადოების პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით, რექტორის მოვალეობის შემსრულებლად განისაზღვრება უფლებამოსილი პირი.

მუხლი 3. ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით

1. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) საგამოცდო ცენტრი;

ბ) იურიდიული სამსახური;

გ) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი;

დ) ლოგისტიკის სამსახური;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური;

ვ) სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

2. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით.

მუხლი 4. ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით

1. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;

ბ) უცხოელ სტუდენტთა შერჩევისა და მიღების სამსახური.

2 საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

მუხლი 5. ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით

1. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის დაქვემდებარებაშია შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი;

ბ) სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრეინინგ ცენტრი;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

2. ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი სასწავლო პროცესის ადმინისტრირების მიმართულებით.

მუხლი 6. ანგარიშვალდებულების წესი

ვიცე-რექტორები, მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან რექტორის წინაშე, მათ შორის, მათ დაქვემდებარებაში მყოფი უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ვიცე-რექტორების უშუალოდ დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობის პირები მათი საქმიანობის განხორციელებისას ანგარიშვალდებულნი არიან კურატორი ვიცე-რექტორის წინაშე.